


# შეშავი მარა

იუმიკისტული  
ქარნალი № 5  
30 იანვარი, 1911 წ. შანი 10 კაკ.

ეოგელ გვირეული გამოცემა

კახეთის რკინის გზა.

1173



კახელმა გლემმა შეხედა  
რკინისა გზასა კახურსა  
და სოქვა: „ცხადია გზა ესე  
ათეადს დაუწყებს მსახურსა:

მამულის ფასსა აუწევს,  
გაუზრდის ერთი-ორათა,  
ტყეს, ღვინოს, კახურ ჩორჩხელებს  
მრავლად გაზიდავს შორათა,

ხოხობს და კურღელს მოგვისპობ,  
კალაქს ჩაიტანს ყველასა...  
გლებკაცი მისგან ტყუილად  
ნუ გამოვლის შევლასა.

# მზაკები

(იგაფისებური)

ერთ ზაფხულის მზიან ღღეში,  
ასლიოდა როს გზას მტვერი,  
მგზავრი ვინმე მიდიოდა  
და მიჰქონდა საგზალათ კვერი.

გზაში მგზავრსვე დაეწია,  
უსაგზლოსა და უხარჯოს,  
ამან „გამარჯობა“ უთხრა,  
იმან უთხრა—„გაგიმარჯოს“!

დამეგობრდენ, გზას გაუდგენ  
ნაცნობები შორი-შორი,  
და ურიცხვი ამბები თქვეს,  
ზოგი ცხადი, ზოგიც ქორი.

ტყუილი თქვეს, თუ მართალი,  
სულ ერთი არ არის განა?!  
მხოლოდ იმათ ლაპარაკში  
სადილობამც მოატანა.

გამოსძებნეს შარის პირას  
წყარო, ჩრდილით დაბურული,  
და ჩამოსდენ მეგობრები,—  
იმერელი და გურული.

მგზავრთა შორის ადათია,  
არ ითქმების—„შენი, ჩემი“,  
ერთად უნდა გაირიგონ  
ღვთისგან მათზე მონაცემი,

და ამ რიგათ, კვერიანმა,  
მგზავრი კვერზე მიიწვია.  
უთხრა: „მოდი, ახლო მოჯექ,  
შენ-ჩემობა რას მიქვია!“

მარა, თურმე, ის უკვერო  
კაცი იყო რამ საშიშიში  
ქანკულად დააბრუნა  
მან თავისი ანგარიში.

რა სცნა, რომ კუქს არ გაუძღობს  
მას იმ კვერის ნახევარი,  
ხოლო მეტს არ წაუტეხენ,  
სულ რომ გასქდეს ნადეგარი,

და მკლავზე თუ მიდგეს საქმე,  
ორთაშუა გასატანად,  
კვერის ქამა კი არა და  
მოუქცევენ სიგრძეს განად,

მთელი კვერის წასაღებად  
ერთი ხერხი მოაგონდა,—  
მოტაცება დააპირა,  
(თურმე მუხლი უვარგოდა).



და თუ კვერი მან როგორმე  
მგზავრს ხელიდან გამოსტყავა,  
მშვიდობით და გამარჯობით,  
წაილო და გაათავა!

თურმე მუხლი მახვილი აქვს,  
ფინთხივით წავა... წავა...  
ამისათვის ტკბილათ უთხრა,  
არ დაუწყო კვერზე დავა:  
(ხერხი არის იქ საჭირო  
სადაც ღონე აღარ გავა!)

— შენგან პურადობაც კმარა,  
კვერს შენ ნუ სტეხ, დალოცვილო,  
ეგე შრომა ზედმეტია  
მამაცხონებულის შვილო

და ზრდილობა ჩემი შენთან  
ანკი როგორ დავიკვებო,  
მარა მცადე, მომე კვერი,  
მსურს კვერი მე მოგიტეხო.

არ იამა კვერის ჰატრონს  
ეგ ხრიკები, რა თქმა უნდა,  
და გამოქნილ თანამგზავრსა  
ამ სიტყვებით მიუბრუნდა:

— გამიგია, რათ დაგქირდა  
მოგვერდები და ან ფანდი,  
ნუ იფიქრებ გავივიდეს  
ჩემთან მაგი ყალთაბანდი.

აგი მჰადი ჩემი არის,  
ხელში მაგრათ მიქერია,  
შენ მოგცე და მეტე გთხოვო,  
კანონში არ მიწერია.

და ნურაფრის უკაცრავად...  
რომ ბევრი არ დავიქადო,  
მე არა მსურს, ჩემი ლუკმა  
სალირლიტოდ გავიხადო.

ეს უთხრა და მიატოვა  
გულმოსულობა იქ ის მგზავრი.  
(ან კი რალათ ექნებოდა  
აშხ: შემდეგ მისი ჯავრი?).

გამორდა მას, გზას გაუდგა  
იგი ზაშლად დახურული.  
გამოიცან, რომელია  
იმერელი, ან გურული?

ა. ბლიკვაძე.



# ღია წერილი

ბათუმელ „კინწარს“.

„ეზმასის მახის“ მეოთხე ნომერში მოთავსებულია თქვენი მოხსენება ბათუმიდან, რომელშიაც სხვათა შორის ეხებით ბათუმელ ექიმთა ცხოვრებას და აღნიშნავთ მათ სასურველ საჯოჯოხეთო მოღვაწეობას. ამიტომ ჩვენ შეგვეძლო გვეფიქრა, რომ ბათუმში ყველაფერი წესიერათ მიმდინარეობს, როგორც საზოგადოთ მთელს რუსეთში და გულ-დამშვიდებით დავრჩენილიყავით. იქ კი, ბათუმში, თურმე საქმე სულ სხვაგვარათ არის; რასაც ნათლათ გვისურათებს შემთხვევით ჩვენს წინაშე წარმოადგინილი სამაგალითო მოთხრობა იღ. ფერაძისა:

## „სამაგალითო ექიმი“.

აი ეს სამაგალითო ნაწარმოები მოკლილი აღამიანისა\* იქლენება (აღბათ ბათუმელ) ექიმს პლატონ გიგინეიშვილს. მიძლენილსა და ნაჩუქარ ცხენს კბილებს არ უსინჯავენ ხოლმე, მაგრამ ბ-ნი ილ. ფერაძის ძღვენი ერთობ სხვა ფერისაა და საჭიროებს კბილების შესინჯვას, თუ კი ასეთი ორგანოები მას აღმოაჩნდებინ.

„რომანი“ ილ. ფერაძისა შეეხება ვიღაც ანტონ ექიმს და, თუ ასეთი ექიმი მართლაც მოიპოვება თქვენდამი რწმუნებულ ქალაქში, გცხოვთ განსაკუთრებული მხედველობის ქვეშე იყოლიოთ იგი.

კანონიერი მეულღე ექიმისა პელო. მართალია, ექვებს აღუძრავს აღამიანს, მაგრამ არა საიმედოთ არ შეიძლება ჩაითვალოს.

მიუხედავთ მსახურთა ზნე-ჩვეულებისა, არც ნიკოია ბიქი შეიძლება ექვებს ქვეშ ვიყოლიოთ. მართალია ის ერთ ალაგას ამბობს:

— „დღეს მაინც აუარებელი მიაწყდა სნეული: რუსი, ქართველი, ლემენცი, თანთარი, ბერძენი, ური და სხვ.“

მართალია აქ რაღაცა ინტერნაციონალური სუნი ტრიალებს: მაგრამ ნიკოია მაინც საიმედო ბიქია. ნურც იმას გავემტყუნებთ, „თანთარს“ რო ლაპარაკობს თათრის მაგივრათ. ეს არ გავემტყუნება, რადგან-ზოგიერთი „მწერლები“, (აი თუნდაც თვით ილ. ფერაძე) სწერენ „თანთარიო“ და ჰგონიათ ეს უმწვერვალესი სიმახილეა გონებისაო.

\*) ავტორს ეგზავნება უმაღლესი ჯილდო: ერთი ცხრა ფოლადის მახათი, უსაქმობის დროს თავის შესაქცევათ.

პელაგიას შესახებ კიდევ ის უნდა მოგახსენოთ, რომ თუმცა იგი, ილ. ფერაძის სიტყვით, „მისდევდა წიგნების კითხვას“, მაგრამ სამაგიეროთ „არ გრძობდა მოწყენილობას იმ ცოდვათა წყაროში... ის არ მისდევდა არც ბანქოს და არც ლოტოს თამაშობას, რომელიც ძლიერ გავრცელებული იყო იმ ქალაქის მკვიდრთა შორის, სადაც ანტონი ექიმობდა“. ამიტომ, რაკი პელო არ „მისდევდა“ კარტის თამაშს, მას ბევრი რამ შეეგვიძლია მივუტევოთ. სულ სხვა იქნებოდა, რომ „გამოჰკიდოდა“.

\* \* \*

ერთ საღამოს (სწორეთ იმ საღამოს, როცა ილ. ფერაძე ძლიერ მიკლილი იყო და მკითხველთა საუბედუროთ ერთი მათრახი ვერსად ვერ ეშონა), ანტონი და პელაგია ასეთ მუსაიფს „მისდევდნ“:

— მოვრჩი საქმეს... დღეს საქმე არა მაქვს... ესლა კი, ჩემო სულიკო, ჩაის შევექცეთ.

— ჩაი დასხმულია, ჩემო ანტონ, მიუგო პელომ.

— ფილტვების ანთება ჰქონდა... ხვალ კრიზისია... შენ იცი შრატი? იმისი კი... იმისი დიფტერიტია... შრატით შევეუშხაპუნე... ამბობდა თავისთვის ანტონი.

— რა დროს შრატია ანტონ, ჩაი დალიე გაცივდება...

— რა წამალია ის სითხე... წარმოიდგინე საქმიო მეცნიერებამ ისე წინ წადგა ფეხი, რომ... ის კი არ მითქვამს შენთვის თუ რა კარგი ციების წამალი მოვიგონე...

— თუ ღმერთი გწამს ჩაი დალიე. ამტონ.

— უკაცრავთ პელო, მეცნიერებამ გამოიტაცა... დღევანდელი ქართული გაზეთი ხომ არა გაქვს...

პელომ გაზეთი მიუტანა. ანტონმა გაშალა და შეხედა თუ არა მასში „სიკვლეოს განცხადებას“ სთქვა:

„აი სიკვდილს კიდევ აცხადებს დღეს გაზეთში შავი არშია“

აბა ერთი ჩავიკითხო: „...გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთა გარდაცვალებას რკინის გზისას...“

— ვაჰ საწყალო! უცებ აღმოხდა პელოს გულის უფსკრულიდან.

— შენ იცნობდი პელო იმასა? „აი წაიკითხე იმისი ცხოვრების აღწერა ნეკროლოგათ წოდებული“. ვინ იცის იქნებ ჩვენც ეს დღე მოგველის!

— ნუ იცი ანტონ ეგეთი ლაპარაკი. ჩვენთან რა უნდა სიკვდილსა. მან ღრმა მოხუცებულები მონახოს. „ჩვენ ჯვარი გვწერია“.

მართალია ილ. ფერაძე არ ამბობს გარკვეულათ, მართლა ჯვარდაწერილები არიან ეს ცოლქმარნი, თუ არა, მაგრამ ეს მრავალ-მნიშვნელოვანი სიტყვები პელოსი ასე თუ ისე არკვევენ, რომ ჯვარის წერას მაინცა და მაინც პრინციპიალურად არ უარყოფენ.

თქვენ კი, ბ-ნო კვინწარო, ამის შესახებ არაფერი ცნობა არ წარმოგიდგენიათ სადაც ჯერ იყო.

**ისტორიკოსი.**

(დასასრული იქნება)

## საზარელი ამბები

### დასავლეთ საქართველოდან.

ჩვენი ქვეყნის დასავლეთ ნახევარს საზარელი ამბავი ეწია. ღრმა მოხუცებულებსაც არ ახსოვთ<sup>1)</sup> იმოდენა თოვლი, რაც ასე მოულოდნელათ თავს დაატყდა ამ მხარეს. ჩვენს რედაქციას ყოველი მხრიდან უხვათ მოსდის ამბები სხვა და სხვა უბედურებათა შესახებ და ჯერ კიდევ ვინ იცის როდის მოეღება ბოლო ამ გვარ შემთხვევებს. აი, მოისმინეთ:

**სამტრედია.** შეშის სიძვირემ უკიდურესობამდე მიადწია. ხალხმა აღარ იცის რითი გაითბოს გაყინული ძვლები. ინტელიგენტებმა ცოტად-თუ ბევრათ მიაგნეს გზას და ერთ საღამოს (კარტის თამაშის დროს) ცნობილი მოღვაწე „მალენკისტების“ ჯგუფისა კინაღამ შეუკეთეს ბუნარს<sup>2)</sup> იმედია სხვებიც მიბაძავენ ამ საუცხოვო მაგალითს.

**ქუთაისი.** ვიჩქარი გაუწყით აქაური საზარელი ამბები. გუშინ დილით, როცა „წიფის“ გვირაბით<sup>3)</sup> ქუჩის მეორეს მხარეს გადადიოდა, გაიჭექა უცნობი. რადგანაც მას თავი არ აღმოაჩნდა, ცხადია ქუთაისის მოქალაქე იქნება.

— გუშინ, შუადღისას, (თეატრში რეპეტიციების დროს) გაიყინა სამი ქართველი მსახიობი ქა-

<sup>1)</sup> იმიტომ კი არა, რომ მოხუცებს საზოგადოთ მეხსიერება ლალატობს ხოლმე!

<sup>2)</sup> ეს საინტერესო სცენა მოთავსებულია ამავე ნომერში, კარიკტურის სახით.

<sup>3)</sup> საჭიროა იცოდეთ, რომ ქუჩის ერთი მხრიდან მეორეზე გადასვლა მოუხერხებელია ისე, თუ არ გვირაბის საშუალებით. ერთ-ერთ გვირაბთაგანს, (ბულჯარის მახლობლათ) „წიფის“ გვირაბი ეწოდება. აღბათ. წახედაულობით.

ლი.<sup>4)</sup> თეატრის ადმინისტრაცია დიდს საგონებელში ჩავარდა.

— რეალურ სასწავლებლის სახურავიდან გადმოვარდა და დაიმტვრა ორი მსახური. დირექტორი ლეონტიევი ამ ამბავმა ძლიერ შეაფიქრა, რადგან მსახურები გამოუცდლები იყვნენ, რაიც მას აუხსნეს, მაგრამ გამოცდილი მუშების ქირაობა იყო საჭირო და ხარჯს მოერიდა.

— ქალაქის უთაო გამგეობას, შეშის სიძვირის გამო განუზრახავს არხივის ქალაქდები იხმაროს ბუხრების გასათბობათ. გუშინ ორ ხმოსანს ჩხუბი მოუვიდა ერთ ღერ შეშაზე, რომელიც შკაფის უკან აღმოაჩინეს ქალაქის სამმართველოში. ჩხუბის დროს ერთმა მეორეს თავი<sup>5)</sup> გაუტეხა.

— მკურნალის კერძო გიმნაზიაში ბავშვებს შელანი გაეყინათ საწერელში. ეს პირველი შემთხვევაა სასწავლებლის ისტორიაში.

**ხონი.** აქაურ ინტელიგენტურ გასართობში ნარდზე კამათლები დააყინა. ხალხი შეშის ხარმა აიტანა. თუ ეს ასე გაგრძელდა „ქალაქში“ სიცოცხლე შესწყდება.

— გუშინ წინ ადგილობრივი სამკითხველოდან მოიპარეს 7 წიგნი (ყდიანი). ამბობენ ქურდობა შეშის სიძვირით არის გამოწვეული.

**ბათუმი.** თავგათა მომსპობმა მფრინავემა რაზმა, ალყა შემოარტყა ქალაქის კასას<sup>1)</sup> დაატყვევა მთელი ბრბო და დაუზოგველათ ჩაახრჩო აღელვებულ შავი ზღვის ტალღებში.

— ქალაქის თავმა შეიძინა<sup>2)</sup> რამოდენიმე წყალ-ქვეშ მავალი ნაფი მოსალოდნელი წარღვნის დროს ბათუმის ქუჩებში სამოგზავროთ.

**ფოთი.** ნიკო ნიკოლაძის აზრით, რა ნივთიც ფოთში გაივლის, ყველაფერს საფუთო გადასახადი უნდა გადახდეს. ამის გამო განზრახულია საფუთო გადასახადი შეაწერონ წლევეანდელ თოვლს, რის შესახებ უკვე შუამდგომლობაც არის აღძრული. თუ

<sup>4)</sup> თეატრის ადმინისტრაციას დაუდგენია, ბილეთის ფასად ფულის ნაცვლათ შეშა მიიღოს: 1) ვალიორკაზელი ერთი. 2) ამფითეატრში 2<sup>1/2</sup>, ღერი. 3) პარტერში 4) ღერი, 5) ძლიზლოლო ლოჯაში 6 ღერი.

<sup>5)</sup> ჩვენის აზრით აქ რალაც შეცდომებაა: ან ჩვენს კორესპოდენტი ველარ არჩევს ქუთათური ხმოსანის თავსა და ფუხებს, ან ხმოსანები არ წაჩხუბებულან. თორემ ბავშმაც კი იცის, რომ ქუთათურ ხმოსანს თავი არა აქვს.

ეშმაკი.

<sup>1)</sup> ამბობენ ეს უმთავრესი სიმაგრეა ვირ-თავგებისა მთელს ბათუმში.

<sup>2)</sup> სიტყვა „შეიძინა“ წარმოსდგება „ძილისაგან“.

აქაც გასჭრა დამსახურებული „თავის“ შორს მხედველობა და გავლენა, ცხადია ფოთის უზომო ვალებს ბოლო მოეღება.

**ოზურგეთი.** უზომო თაველისა გამო ბრძოლა ჯერ ჯერობით შეჩერებულია. ქალაქის სათავე კაცს კვალად გაფაციცებით ეძებენ, მაგრამ მოგვხსენებათ „თავი“ ახლია შეშახე უფრო ძვირი საშოვარია.

— მთებიდან ნადირი სულ ბარათ ჩამოხიზნულა“). გუშინ წინ ერთმა მშვიერმა კურდღელმა სამი საზოგადო მოღვაწე დაგლიჯა. ერთი მათგანი ნიკო ივანეს ძე მგელაძე“) უნუგემო ედგომარეობაში იმყოფება.

**ბორკილი.**

ისევ ერთად ვართ, არა შცილდება, მე კი სულ სხვა მყავს სატრუო გულისა, ცრემლებ თა მკლის, კაცში კაცსა შლის, მშვიდობ, მიაქვს ჩემი სულისა!

შებდ მივიწვევ—იგი არ მიშვებს, მგლობარს ვეძებ—: ის არ მკარებს, მინდა შევიდე, ვარს მგუზნება, დარაჯათ უღვას მშვენების კარებს!

მტრობის ნაყოფი უძღებათ ქმნ. ლა, სისხლი სწყურია და ჩემსას ისხამს, სასიყვარულოდ ფარა ხალებს გული, ის კი ყოველდღე, საწამლავეს მისხამს! მარად ვოცნებობ განკითხვის დღეზე, მაგრამ აო მოდის, დამდგარა შორეს, ჩვენ კი ვით გველნი გადაკლაკნილნი, გადავხვევივართ ერთი მეორეს!

სატრფოს მაკიერ სულ იგი მკოცნის, ლამე დღეს მისდევს და წელსა წელი, სიკვდილი მაინც არ მენატრება, სიკოცხლის გზაზე ძღვევის ჟამს ველი!

და თუ მეღირსა, უმწაკვლო მკერდში მეც ჩამიხუტებს სიამე ტკბილი, თუ არა, ძღუელს სხვა რაღა მეუქმის: დე გულზე დამრჩეს ჩემი ბორკილი...  
რ. ლეჩხუმელი.

“) აქ ნამდვილ ნადირებზეა ლაპარაკი და არა ისეთებზე, რომელნიც ოზურგეთს თავზე საყრელათ ასხია.

10) „მგელი საკურდღლე გახდაო, იმისი საქმე წახდაო“ ამბობს ქართული ანდაზი.

**ქუთაისს. \*)**

რადგანაც თვითონ ჩამოსვლა იდბაღმა აღარ ანგუნა; ამ ლექსს უტზავნის ქუთაისის შირს-თფაღსიდან თავუნა.

თუ მოგეწონათ, შეაქეთ... (ეს სიმ მსმენელთა ვადა!) არა და, — ვი წამკითხავს! ავტორის არა ბრადია!

**ნ ა ტ ვ რ ა**

ქუთაისისთვის ვინატრი მე უწინარეს ყოვლისა, კვლავ მოსულიყოს ამ ზამთარს სამი ალაბი თოვლისა.

თებერვლის დამდევს უეცრათ ისეთი მზე დამდგარიყოს, რომ ეს თოვლის ზღვა ეგება ერთბაშათ ვადამდნარიყოს.

წამოსულიყოს ღრიალით ლანქერი აზვირთებული, რიონში ვადაეტყორცნოს თქვენი ქალაქი ქებული.

როონს ქვევითკენ წაელოს, ფოთს მიეტანოს ფრთხილათა და ვადაეკეს ნიკოსთვის ფოთის თანასწორ შეილათა.

თუ რომ ეს ნატვრა აგვიხდა, — ეს უცნაური მგზავრობა, — სამივე მხარე მოიგებს: ნიკო, ხმონები, მთავრობა!...

თავუნა.



\*) ეს ლექსი წაკითხულ იქნა ქუთაისს, 24 იანვრის ლიტერატურულ საღამოზე.

# „სიაში არა სწერია!“

(სცენა ერთ მოქმედებათ)

**მომამადნი პირნი:** 1) **ზურაბ ბრაქიაშვილი**, ქართველი „ნისონია“ 40—45 წლისა; მაღალი და ჩასუქებული ქართველი. „პატრიოტის“ სახელს ატარებს. 2) **სიმონ პავლოვიჩი პროხვოსტოვი**, მდივანი ზურაბისა. ჩამოშავლობით რუსი. 30 წლისა. 3) **აკაკი შავიძე**, ქართველი სცენის მოყვრე (კომიკი) 25 წლისა.

მოქმედება სწარმოებს მთავრობის ერთ-ერთ დაწესებულებაში. სცენა წარმოადგენს ორ მოხრდილ ოთახს, რომლებსაც ერთებს შუი კარი. ის მუდამ მიხერყლია. შირველ ოთახში ზის მდივანი, მეორე კი წარმოადგენს ზურაბის კაბინეტს. უკან ამ ოთახებს მოადევს დიდი „კარიდორი“, რომე იგი მდივანს ოთახში შემოსაკვლდა კარებდან მოსასხს. „კარიდორს“ იქით სხვა ოთახებია, სადაც დანარჩენი მოსამსახურენა თავიანთ მოვალეობას ასრულებენ. დილის 11 საათია. ფარდის ახდინას ზურაბ ბრაქიაშვილი და მისი მდივანი თავიანთ ოთახებში სხედან და რაღაც ქაღალდებს ჩასჩაინებენ.

## გამოსვლა პირველი.

(მდივანს ოთახში შემოდის სცენის მოკვარე ხელში უჭირავს ორი პატარა წიგნი და დაბეჭდული განცხადება. გაუბეჯდა ობი კტუბა.)

**სცენის მოკვარე.** უკაცრავად, ბატონო, მე ნებართვისათვის გეახელი. (ამ სიტყვებთან ერთად მიუახლოვდება მდივანს და გადასცემს წიგნებსა და პროგრამას. ფრთხილად ისევ უკან დაიწევს).

**მდივანი.** ეს რა არის? (კითხულობს): Русско-грузинский вечеръ . (შემდეგ ცოტახანს ჩუმად კითხულობს. ბოლოს ისევ ანოუშვებს ხმას): Превославно бюджет на русском языке „Путаники“, водевилъ въ 1-мъ дѣйствіи, а на грузинскомъ — „Чкуиса მჩირე“, комедія въ 1-мъ дѣйствіи Г. Чагаძისი. (მიუბრუნდება სცენის მოკვარეს) როგორ შეიძლება!.. თქვენ ისეთი დღე აგირჩევიათ წარმოდგენისათვის, როდესაც ყოველგვარი წარმოდგენები აკრძალულია!

**სცენისმოკვარე.** (უიმედოთ) რასა ბრძანებთ, ბატონო, ნუ თუ ეს სიმართლე არის?

**მდივანი.** რა თქმა უნდა! სწორეთ ამ დღეს სახელმწიფო დღესასწაულია... (შეჩერდება) а выпивать я узнаю. (გაღის კარიდორში და მოეფარება).

**სცენის მოკვ.** (მარტო) ვაი დედსა!.. თუ ნება არ მომცეს, ხომ დავიღუპეთ, ხომ რყვილათ

ჩავვიარა ამდენი ხნის შრომამ?! რეპეტიციებზე ნარბენი ფეხის გულში ტყავი გადამძვრა. არა, რა იფიქრეს იმ უბედურებმა, რომ მაინცა და მაინც მე ჩამაგდეს ამ ჯოჯოხეთში?! „შენ უფრო ხათრს დაგდებენო“. აბა, ერთი მითხარით, ვინ უნდა დამდოს აქ ხათრი?! რომელი ბურჟუას ლამაზი ქალი მე მნახეს?! ხათრი კი არა, ასე მგონია სულ ყველა შესაქმელათ მიყურებს. ეს შეჩვენებული მდივანი მარტო იმის ცდაშია, რომ როგორმე საქმე ჩამიშალოს. (დაფიქრდება) აჰა, ერთად ერთი იმედი ზურაბზეა! ის ხომ ცნობილი ქართველი პატრიოტია და თუ გამომადგა იმისი მამულიშვილობა სწორეთ ახლა. მე ვუყურე ერთხელ მას ერთ ქართულ კრებაზე. რა მხურვალეთ და მკვერმეტყველურათ ლაპარაკობდა ის ქართულ თეატრზე, ქართველებზე და საზოგადოთ სამშობლოს სიყვარულზე! ამას გარდა, ის წვერია თითქმის ყველა ქართულ კულტურულ დაწესებულებისა. ხანდახან, მგონია, ჩვენს ქართულ გაზეთებშიაც კი სწერს! დიახ, თუ რამე მიშველა, ისევ იმან, თორემ როგორც ვატყობ, საქმე ვაგლახათ მიდის. (ვილაცის ფეხის ხმაზე შეკრთება; კარებისაკენ იყურება) არავენ მოდის. დასწყევლოს ღმერთმა, ყველაფერზე ისე ვკრთი, როგორც კურდღლის ბაქია. შემოვდგი ფეხი თუ არა ამ დაწყველილ ოთახებში, მთელი ჩემი არსება რალაც მოდუნდა, მოიშალა, სიცოცხლის ნიშანწყალი დაეკარგა. (შემოდის პროხვოსტოვი).

**მდივანი.** (ჯდება) თამაში შესაძლებელი ყოფილა...

**სცენის მოკვ.** (გახარებული) მეც ასე ვფიქრობდი, ბატონო!

**მდივანი.** აბა, ახლა ნება-დართულ პიესების სიაში ვნახოთ; თუ იქ აღმოჩნდება თქვენი პიესები მაშინ ნებასაც დაგრთავენ, თუ არა და,—არა. (დაძვებს რუსული ვოდევილის სათაურს).

**სცენის მოკვ.** (თავისთვის) ვაი ჩემს დღეს!.. უეჭველათ დამლუბავს, ეს ეშმაკის კერძი. (გულის ფანჯრით შეჰყურებს მდივანს).

**მდივანი.** რა ჰქვია? „Путаники“ და?

**სცენის მოკვ.** დიახ, ბატონო!

**მდივანი.** რალაც არა სჩანს; ალბათ „პუტანიკა“ არის და არა „პუტანიკი“. (განაგრძობს ძებნას).

**სცენის მოკვ.** (იქით მართლაც რომ პუტანიკაა“ მაგ შეჩვენებულის თავში. (მდივანს) სულ უბრალო ვოდევილი არის, ბატონო... შესაძლებელია არც კი იყვეს სიაში... აბა დახედეთ!.. თვითონ წიგნზე აწერია რომ, ბევრჯერ უთამაშნიათ თვით პეტერბურგშიაც კი...

**მდივანი.** Милош Ји!.. (ცოტა სიჩუმის შემდეგ) ჰო, ეს კიდევ შეიძლება; აბა მეორე პიესის სათაური რაღა არის?

**სცენის მოყვ.** „ჭკუისა მჭირს“!.. ესეც სულ უბრალო კომედია არის. ათი ათასჯერ უთამაშნიათ, როგორც თფილისში, ისე სხვაგან.

**მდივანი.** (დაძვება) რუსულად როგორ ითქმება ეგ სათაური?

**სცენის მოყვ.** აბა რა მოგახსენოთ! საუბედუროთ არ ვიცი რუსულად როგორ უნდა გადაითარგმნოს. (იქით) გამიშრო სისხლი მაგ. ოჯახ დაქცეულმა).

**მდივანი.** (გადაწყვეტილად) არ არის, ძმაო!


**სცენის მოყვ.** (მიმართავს ხვეწნით) ბატონო ჩემო! ქართული კი არა, რუსული პიესებიც ბევრი გამორჩენია მაგ თქვენს სიას. „ჭკუისა მჭირს“ ისეთი უბრალო რამ არის... ყველგან უთამაშნიათ... ნუ დაგვიკარგავთ ამდენს შრომას...

**მდივანი.** არა, არა, ძმაო, რა კი სიაში არა სწერია, არ შეიძლება. (აიღებს ხელში წიგნებს, აფიშის პროგრამას და გადის ზურაბის კაბინეტში).

**სცენის მოყვ.** (მწარეთ ამოიხრებს) უეჭველად დამლუპავს!.. თუ რამე მიშველა, ისევე ბრახიაშვილის პატრიოტიზმამ. ის ალბათ იცნობს ცაგარელსაც და მის კომედიებსაც. ღმერთო შენ უშველე აკაკი შავიძეს!! (გადის).

**ანათემა.**

(შემდეგი იქნება)



**სულო ბოროტო!**

სულო ბოროტო! ნუ მიწვევ იქით, სადაც ცხოვრება ფუფუნებაა, საცა სიცოცხლე—ყოფნა ერთისა; მეორის ტანჯვა და წამებაა! იქიდან მესმის სიცილ-ხარხარი, ქვევით კი ოხვრა, კვნესა, ტირილი... არა, არ მინდა, ბოროტო სულო; სხვებს გულს უკლავდეს ჩემი სიცილი!

ს. ქურბიძე.

**მოძმენო!**

მოძმენო! გულის სიწრფელით კვალად მოგიძღვნით სალამსა, თუმც გულის ქენჯნით გაეცეკერი ძირს დახრილ ძმობის ალამსა.

დაჩაჩანაკდა ლომგული, დაუნიადა ბანაკი, დღეს მსხვერპლთა ანგარიშშია: დღეს.., ხვადე... ზეგაც ზვარაკი!.. თავზედა ნაცარ წაყრილი, სახისა დაღრეჯილობით, მკედარზედაც უარესია, იმედის გაცრეცილობით.

რა მოხდა, ტურა-აფთარნი საიდან მოსქდენ მკაცრად, რომ არც ჩვენ რადმე ჩავგავდეს. და ვერც დაფუხვით კაცადა?!

მარქვით: დღეს რაღა ვაკეთოთ? მითხარით, საქმე რაშია? მსხვერპლნი-ღა ვიანგარიშოთ ქედ წახრილებმა კავშია!!

თუ ცხოვრებისა დიად ველს ზედ შემოვევლოთ თავზედა: ბარშია დავსდგათ ყანები, ქარწისქვილები-მთაზედა,

იქ მოვიყვანოთ, აქ დავფქვათ, ვაცხოთ საჩვენო პურად. მუდამ რათ უნდა ვეყარნეთ სხვის საცმო-სამსახურად!!

ბარიც ჩვენ გვეპყრას, მთაზედაც საჩვენოთ ჰქრონდეს ნიაფი, ვერ გვაშინებდეს მთის თხემი, ვერც მისი შავი ლლიაფი.

არ რბოდენ ტურა-ფოცხვერნი მთის მცველად, შიშად-ბარისად და არ ჰკიოდენ ქარ-ბუქნი, რისხვით ბარელთა კარისად!..

მოძმენო! გულია მტკივა და თქვენ კი სდუმხართ პასუხად... ოჰ, ღმერთო! ბარემ მაქციე მენად ცით ჩამონაქუხად:—

აღეძრა, ავშალო ჰაერი, ვით ითხოვს ყინი გმირული:— მთაზედა მგზი ვაწვიმო, ძირს—წვიმა კოკიბირული!..

შემდეგ დახედეთ ხნულებსა,  
 აზურმუხტებულ ველებსა,  
 და ცისკროვანი იმედით  
 დღეს ბორკილ-ნაჭედ ხელებსა!..

ნ. ზომლოთელა

გულყინვა თოვლო, შენ გეთაყვანე.  
 შემოდით, ყველა წვიმავ და თოვლო,  
 შენც, ზამთრის ქარო, გვითხარი ნანა!...  
 ყველა გვიყვარხართ ადამიანებს  
 კაეშნისათვის, რომ მოგაქეთ თინა.

ვ. მალაქიაშვილა



### დეკემბერი

(კურხარო)

— ადამიანო, კარი გამიღე!  
 გესმის, ვსისინებ, ძაბაძებებს კბილი!  
 კარი გამიღე: ზამთრის ქარი ვარ,  
 ჩამქენარ ფოთლებით ტან-შემოსილა.


— შემო, როგორც გსურს, შენ, ცივო.  
 გაატარევი ჩემთან ზამთარო. ქარო,  
 ჩვენ ხომ დიდხნის ნაცნობები ვართ...  
 სალაში შენდა! ბინა მზათ არი...  
 — ადამიანო კარი გამიღე,  
 წვიმა გესტუმრე რუხ ფარაჯაში,  
 ძლივს თუ შემაძინე ნისლ ლეჩაქიანს  
 შიშველ-ტიტველი, მინაცრულ ცაში.

— გზას ვარდი, წვიმავ, დაულაღვო,  
 შემოდი ცივო, ნება გაქვს სრული,  
 თან მოგყვეს ლალათ ნისლთა ქულები...  
 მოგელოდებით ქობ დაცხრილული,

— ადამიანო! კარი გამიღე,  
 თოვლი გეწვიე თეთრად პენტალი,  
 შენგან ჩამოყრილს, ქარო, ფოთლებსა  
 უნდა დაფინო თეთრი მანდილი.

— გზა მშვიდობისა! მოგყვეს ქარბუქი!  
 თეთრი ზამბახი თან მოატანე,  
 გადაუთეთრე ქობს იატაკი,

### თფილისის ქალაქის სემარტველოში



გაბგეობის წყვრის საფარმკოიკენს.

1911 წლის ზირველი იანვრიდან იწყებს არსებობას ახალი ვოველ-კვირეული  
იუმორისტული ჟურნალი

# „ეშმაკის მახე“

„არსებობის დაწყება“ არც ისე ძნელი საქმეა. ჩვენი ბევრი, ძლიერ ბევრი ჟურნალ-გაზე-  
თობა იწყებს ხოლმე არსებობას, მაგრამ... მაგარიც ის არის, რომ ჩვენი ცხოვრების უკუღმარ-  
თობა უმაღლეს უსპობს მათ სიცოცხლეს: ზოგს ბუნებრივის და ზოგსაც ხელოვნური სიკვდილით.  
კვდება ის, ვინც ტირის, კვდება ის, ვინც ტიციანის „ეშმაკის მახეს“ სრულიად არ ენატრება  
სიკვდილი, მაგრამ თუ მას მაინც უწყურია ახლო აღსასრული, ის ამჯობინებს სიცოცხლში მოკვდეს;  
ტირილით კი მას მისი კირისუფალნი დაიტირებენ. თქვენ იქნება იკითხოთ, ვინ არიან ეს  
კირისუფალნი:

## 1) პირ მომცინარათ მშარალნი, თუმც ზირ.პარამის მშარალნი:

აკაკი (ჭაღარა წელთა მსგელაობით, ნაქები ესა მჭრელაობით). ბენუკა (მესტვირე მხე და კუდი:  
გვიან გვიან სწერს წვეული). ბლიკვაძე (ცნობილი იგაგ-არავით და სტვირის ტკბილი რაკრავით).  
ეშმაკი (მაცდური, მოუსვენარი, დაუნდობელი მკენარი). თაგუნა (მეცნიერებათ ცნობილი, ზროსაში  
გამაწრთობილი). კენტი (ბათუმის დარაჟ-მშვერავი, მოხსენებათა მწერავი). ონისიმე (მემატიანე ოდიშის,  
არ უყვარს მოხდა ბოდიშის). პიტნა (მწერალი „გურჯელ სტენისა, პატრონი მახეა ენისა). ფონ-ტეფო  
)მგესლაჟი ნაგურთხ მამათა: ის არ ასვენებს ამათა). შხანკოლა (კვიმატი, ესა ფხახაი, ხუდიგანთ მისცეს ზიანი

## 2) ზაბუშანი, ნორჩნი მგოსანნი, ტაბილ-ხმოვან ლირიკოსანნი:

ნ. ზომლეთელი, თურდოსპირელი, იასამანი, ლეჩხუმელი, მალაქიაშვილი, რუხაძე, ქუჩიშვილი.

აი კირისუფალნი „ეშმაკის მახისა“! ამიტომაც არ ეშინია მას სიკვდილის სახისა. სიცოც  
ხლეში იგი არ დაინდობს არავის; ცოდვა მიუძღვის რამე ვის:

|                      |                 |                 |
|----------------------|-----------------|-----------------|
| არ დაინდობს:         | ჩინოვნიკებს,    | უსამართლოს      |
| არც ქურდ, არც ყბედს, | არცა ყმაწვილ    | გამოცვეთილს.    |
| არც სოფლის ჩარჩს,    | კუდაბზიკებს,    | არც მსახიობს,   |
| არც ქველმოქმედს,     | არ დაინდობს     | არც მომღერალს,  |
| არცა მწერალს,        | არც პედაგოგს,   | არცა უშნო       |
| არც ჩაფარს, გზირს,   | (რა თქმა უნდა   | ლექსთა მწერალს, |
| ვინაც მომგვრის       | ზოგსა და ზოგს)  | არ დაინდობს     |
| ხალხს გასაჭირს,      | არცა მსაჯულებს, | ის არავის       |
| არც მექრთამე         | არცა ვეჟილს,    | პირში მხელა     |
|                      |                 | სჭირია ვის.     |

და თუ სიკვდილი აუცილებელი იქნება, ისეთ ქელებს გაუმართავს თავისს მკითხველებს  
რომ ზოგიერთ ქორწილსაც გადააქარბოს.

ვიდრე ცოცხალია, „ეშმაკის მახე“ ეცდება გააუმჯობესოს თავისი ფურცლები, როგორც  
მხატვრობის, აგრეთვე შინაარსის მხრივაც. ახლო მომავალში ის ელის სურათებს, რომლებიც  
მეტ მიმზიდველობას მისცემენ მას.

ხელის მოწერა „ეშმაკის მახეზე“ ყოველთვის შეიძლება ღ იმდენი ვადით, რამდენი ვისაც სურს.  
წლიურათ ღირს 5 მან., ნახევარი წლით 2 მ. 50 კ., სამი თვით 1 მ. 50 კ. ერთი თვით 50 კ.

შემთხვევითი კორესპონდენტები წერილებს ამ აღრესით გამოგზავნიან: Тифлисть, Гри-  
шоѣдовская, № 34. Типографія Е. Кереселидзе, для „Дшмакисть Махе“.

ფულიანი წერილი კი უნდა გამოგზავნოს ამ აღრესით: Тифлисть. Рабаевскіи пер-  
Типографія „Цховреба“ Аслану Калаидадзе.

# უსტარი ეშმაკისა \*)

მოწყალენო ხელმწიფანო  
 და მოწყალე ხელმწიფენო,  
 ქუთაისის ბულვარ-ბადის,  
 ბედნიერნო ასულ-ძენო!  
 მე, ეშმაკი,  
 ბედით კრული,  
 ჯოჯოხეთის მოციქული,  
 დიდი ხნიდან  
 მზათ ვიყავი  
 აღარ დამეზოგა თავი  
 და წინაშე  
 თვალთა თქვენთა,  
 (ეშხით დამწველ-დამდაგველთა)  
 წამეკითხა  
 ლექსი მკირე,  
 სახუმარო, საშირე.

მაგრამ, ბედმა  
 კვლავ გამწირა:  
 ძალა ხმისა შემიმცირა...  
 წარმიკვეცა  
 ყურთა სმენა,  
 დამიბორკა პირში ენა...  
 შემემოკლა  
 თვალის ჩინი...  
 გამიბრუნა თავში ტვინი...  
 ჩამომაკნო,  
 მომადუნა,  
 და უდროოთ გამახუნა.

ცხადი დარჩა თავის „თავად“,  
 რომ, ეგ ცოდო სანახავად,  
 სხვად არაფრათ გამოვდგები,  
 თუ არ, ქუთაისის თავად.  
 ამიტომ მსურს  
 განკითხოთ  
 და ლექსი სხვას წააკითხოთ.

ეშმაკი.

\*) მინაწერი „საღ მოს“ ვამბეთადნი.

# პაჭუკრი ენა \*)

წინასიტყვაობა.

ქვეყანას უკვირს:  
 დიდს და პატარას,  
 მაგრამ არაფინ ამბობს არარას,  
 თუ ბოქაულმა  
 სად შეიძინა  
 ეს ამოდენა სასახლე, ბინა.!  
 სად მოუყარა  
 თავი ამ ფულებს,  
 შავი დღისათვის შემონახულებს.  
 როგორ იყიდა  
 მიწა, მამული,  
 ძვირფასი ნივთი და სამკაული,  
 როცა ჯამაგირს  
 მუდამ ემდურის:  
 „მიჭირსო შოვნა საქმელი პურის!“  
 მართლაც დიდია  
 ეგ სასწაული,  
 საიდან მოდის ამდენი ფული?!  
 — ლმერთი უგზავნის?  
 — აბა რას ამბობთ!..  
 მუდამ ელოცულობთ, ცრემლით ქვას ვალ-  
 და გროში ცალი ბობთ  
 არსად გვინახავს...  
 ნუ თუ მარტოკა მისთვის ინახავს?

ხმა იღუმალი

ეჰ უბადრუკნო  
 მიწისა შვილნო,  
 უმეცრებითა უხვად აღესილნო!  
 მუდამ შენატრით  
 სხვისა ქონებას...  
 შური და მტრობა გიღრღნით გონებას...  
 აღარ გასვენებთ  
 სხვათა სიმდიდრე,  
 არ გამდიდრდებით თქვენ თითონ ვიდრე  
 თქვენა გგონიათ  
 მაღლი ციური,  
 და „გამორჩენა“ პოლიციური  
 განგების ხელმა  
 შეაკავშირა  
 და ერის კაცნი ყველა გასწირა??

\*) ეს ლექსი წაკითხულ იქმნა ქუთაისში, 24 იანვარს ლიტერატურულ საღამოზე

თქვენ სცდებით, სცდებით  
 მიწისა შვილნო,  
 ბიწიერებით უხვად აღვსილნო.  
 აღახვენ ყურნი  
 და გქონდეთ სმენა:  
 ქონებასა ქმნის „ქაჯური ენა.“  
 გულის ხმა მიეც  
 პატარა სცენას,  
 ხშირათ შეხედვებით ამგვარ მოვლენას  
 ერის კაცებში,  
 მღვდლებში, ბერებში,  
 ყოველგვარ ჯურის გაიძვერებში.  
 „ქაჯური ენა,“  
 ვინც შეისწავლა  
 მულამ მისია ბრძოლის დროს დაგლა.

## ქურდი და ბოქაული.

### ბოქაული.

—ეგ არამზადა,  
 ეგ ვირის თავი!..  
 (სტექდა, გრგვინავდა დავით პრისთავი).  
 აქ მომიყვანეთ,  
 მიჩვენეთ ახლო,  
 საქმე წავკიდო  
 მას სავაგლახო!

(დავით მოაჯირს წამოეყუდა,  
 სრული, ვითარცა კამეჩის გულდა)  
 და შუბლზე ნაოქ-გადანაკრავი,  
 გაშეშდა, ვითა ელდა ნაკრავი.  
 დარაჯებმა კი, ხელებ გაკრული,  
 წამოაყენეს ვილაც ბედკრული  
 და მოახსენეს: „ამ ვაუბატონმა,  
 არა ერთგობის ნაცნობ პლატონმა,  
 კვლავ მოიპარა შვიდი თუმანი...  
 სხვები მოწმეა აქ მონაყვანი).

### ბოქაული.

—რაო? იქურდა?  
 ოჰ, ლაწირაკი...  
 რა საჭიროა აქ ლაპარაკი?!  
 ახლო წამოდექ  
 'შე არამზადა,  
 დროა მოგისპო ქურდობის მადა!!!..  
 შენ დაგავიწყდა  
 ჩემი მუქარა?!  
 შენ ამ ჩემს მახვილს იცნობ თუ არა?



ცოდოსა და მადლს  
 აღარ დახედავ  
 გადაგკრავ, უმაღ „შვაზე“ გაგკვეთავ!  
 (ქურდი მუქარას  
 არ შეუშინდა...  
 ცოტათი სახეც  
 კი შეუცინდა,  
 და შეუბრუნა  
 ბოქაულს სიტყვა:)

### ქურდი.

— რისთვის, ბატონო,  
 ამდენი რისხვა?  
 არა თუ „შვაზე,“  
 ოთხათ გამკვეთოთ,  
 ამით ვერარა ვერ გააკეთოთ.  
 რა დავაშავე?  
 რა წავახდინე?  
 მოვკალი ვინმე?  
 სისხლი ვადინე?  
 მაშ, რისთვის უნდა  
 გამკვეთოთ შვაზე?  
 რა ცოდვა მიძღვის  
 ზედმეტი სხვაზე?!

### ხმა იღუმალი

აი ისმინეთ  
 მიწისა შვილნო,  
 უმეცრებითა უხვად აღვსილნო.  
 იცით რას ნიშნავს  
 „შვაზე გაკვეთა“  
 და ქურდი ამან რად დააფეთა?  
 ვერ მიხვდით განა  
 ამ „ქაჯურ ენას?“  
 მაშ, ნუ მომაკლებთ  
 თქვენს ძვირფას სმენას:  
 „შვაზედ გაკვეთა  
 ხმლით, თანასწორათ“  
 ფულის გაყოფას აღნიშნავს ორათ.  
 და ბოქაული  
 თუნდ ცეცხლს იკიდებს,  
 თვალს აბრიალებს,  
 ხმალზე ხელს იღებს,  
 ეგ არ აწუხებს  
 ქურდს მაგრე რიგათ...  
 ამდენს არ მისცემს  
 მას შესარიგათ.)

## ბოქაული.

როგორ თუ ბედავ  
შე მაიმუნო,  
ბოქაულს სიტყვა შემოუბრუნო?  
შენ დაგავიწყდა  
ჩემი სილები,  
ჩემი ნაცადი გაკვეთილები?  
იქნებ მოგინდა  
„ოცი“ წკებელი,  
რომ ვერ აიღო  
მიწიდან წელი?

## ქურდი.

ოცი წკებელი?...  
ოჰ, რისთვის, რისთვის?!  
პლატონ რო მქვია  
განა იმისთვის?  
ხუმრობა არის  
ოცი წკებელი?  
მერმე რისათვის  
ავი სასჯელი!..

## ხმა იღუმალი:

— კვალად ისმინეთ  
მიწისა ძენო,  
უმეცრებითა  
მრჩობლ აღსავსენო!  
იციტ რას ნიშნავს  
„ოცი“ წკებელი?  
— ეს ქანქარია  
მისაღებელი...  
ქურდიც ამიტომ  
უფრთხის ამ სასჯელს:  
ოცის მიცემა  
არ აძლევს მას ხელს.

## ბოქაული

— შე ქურდ ბაცაცავ  
და მატყუარა,  
მითხარ: ქკუაზე  
მოხვალ თუ არა?  
ალარ დაგზოგავ,  
ვიფიცავ შევილებს...  
„წითლათ“ შეგდებავ,  
ჩაგამტვრევ კბილებს...

## ქურდი

რას მემართლები  
შე დალოცვილო,  
რალათ ვივარგებ  
აბა უკბილო?  
ნუ მიზამთ ამას  
თქვენი ქირიმე,  
რომ შემიღებოთ  
წითლათ პირი მე.  
გემუდარებით,  
ნუ მიზამთ ამას  
ღმერთი გიცოცხლებთ  
კოლ-შვილს, დედ-მამას!

## ხმა იღუმალი

ქურდმა იცოდა,  
რომ ეს „წითელი“  
თუმანი იყო  
ტლიკვი, შიშველი  
და იმისათვის გაიდგა ფეხი...  
დაცდილი ჰქონდა  
ეგ „რისხვა-მეხი“.

## ბოქაული.

— ალარ ჩაიწყვეტ  
მაგ ოხერ ენას?  
ყოველი სიტყვით  
მიწამლაგ სმენისა...  
შენთან არ გადის  
თავ—გაყადრება,  
მე ვიცი, თუ შენ რა გეყადრება!  
ეხლავ ვუბრძანებ  
ჩემს ვაჟკაცს, ბურჯებს,  
და ზურგს მათრახით  
„გადაგილურჯებს“.

## ქურდი.

რა გაეწყობა,  
თქვენია ნება...  
მე ჩემი თავი არ მენანება.  
მაწამონ, მცემონ  
გადამალურჯონ,  
ოლონდ კი სახლში ადრე გამიშონ.

## ხმა იღუმალი.

ხედავთ? ბოქაულს  
მოუღბა გული!!  
(ლურჯი ქალოლიც კარგია ფული!)



**ბოქაული.**

— მაშ შენ არა ხარ  
 დანაშაული?!  
 ეჰ, რა ჩვილი მაქვს  
 ოხერი გული!!!  
 წადი, გამშორდი,  
 მაგრამ მიფრთხილდი:  
 ვაი შენ, თუ კვლავ  
 ჩემთან მოფრინდი.

(ქურდმა დაუკრა  
 მორჩილად თავი,  
 და აღღეგრძელა  
 დავით პრისთავი.  
 სალამოს, ბინდმა  
 რა მოატანა,  
 ხუთი ქანქარი  
 შემოუტანა..)

**ეზმაკი.**



**თქვენ გიშღვრით მარად.**

ვის უსრულებელ ეამთა ქროლამა  
 გარგუნათ მხოლოთ ტანჯვა-წვალება,  
 აუყია ბედის რისხევა წყრომამა  
 გულის დაგაჩნიათ ქირი-ვაება.

ვისა მარადის ყურს გიყრუებდათ  
 მქენჯნი ხარხარი ბოროტ სულითა,  
 სისხლისა ცრემლს გავრქვევინებდათ  
 უსასოება ობოლ გულისა.

თქვენ გიშღვრით ჩემსა ახალსა პიონებს  
 გულ-აღზნებული ჩანგ-მომართული,  
 პანგებში ვაქსოვ ტკბილ იმედებსა  
 რომ დაგიშვიდოთ გული ვნებული.

\* \*

ვისაც თვით ზეცაც გირისნდებოდათ  
 ჰხვევდა ღრუბელი თქვენ წილ მზის სხივებს,  
 შეხთა ჭექებით თავს გატყდებოდათ  
 გიცამტვერებდათ იმედისა შთებს.

მძლე ქართველი ზათქით, ღრიალით,  
 ოცნების წალკოტს გიპარტახებდათ,  
 სატანა, შავის დროშის ფრიალით,  
 ნათელ თვალებში ლიბრს გიკეთებდათ.

შე განუყრელათ თავს გვევლებოდი  
 თქვენდამი კრძალვით, ტანჯვით აღსილი  
 და თქვენთან ერთად ყრუთ ვქეთითინებდი  
 ეკლის გვირგვინით შუბლ შემოკბილი.

\* \*

როცა ქვეყანა მიეცემოდა  
 სატკბილ-ოცნებო აღმაფრენასა,  
 ყოველი არსი ჩაექსოვოდა  
 სიოს ქროლასა, ვარდის ფშვენასა,  
 როს უკვდავების ტკბილი ნექტარი  
 შევების ლალ შეილგებს ეპკურებოდა,  
 წმინდა ამური, ტრფობით ღელვლილი,  
 გულს იხუტებდა. თავს ევლებოდა,  
 მაშინ დროყამი ზენა ტრფილის  
 ჩემს ვნებულ გულსა არას ეტყოდა,  
 ყვედრებით ვქროდი აზრთა უფსკრულში,  
 რომ ჩაგრულ-გვემულთ არვინ ეტრფოდა.

\* \*

როს განახლება ფენიქსისებრი  
 თქვენ გეწვეოდათ შავათ ღელვლილებს  
 იმედის სიო გრძნობით მოგბერდათ  
 ოფლში და ცრემლში გამოწრთობილებს.

ვნებულსა გულსა ისალკლდევედით  
 ჭირსა ხედებოდით, ვით ბერკეტს გრდემლი,  
 ეკალნარისა გზის გასაკაფათ  
 ხელში გეჭირათ პირ-ბასრი ცელი, —

მეც ვნეტარებდი: განადგურებულს  
 მთებს იმედისას ვაგებდი სწრაფათ  
 და თავ-განწირულ გუნდს თავს დაეჭროდი  
 ქცეული ბრძოლის ნალარათ დაფათ.

**დ. თურდოსპირელი**



## თაგუნას რომანი.

კ ა რ ი ი

ანუ ნამდვილი დასაწყისი რომანისა. მორცხვ მან-  
დილოსანთ და მოზარდ თაობას ამიერიდან ნება  
ეძლევათ შეუდგენ კითხვას.

არც ერთ სასტუმროში თავისუფალი ოთახი არ მოიძებოდა. ქალაქი სავეს იყო ხალხით და ქუჩებში ტევა არ იყო. ვეებერთელა საქართველოს ყველა კუთხეს გამოეგზავნა თავისი წარმომადგენლები ეროვნულ დღესასწაულზე დასასწრებლათ. სახლები ვარდის ფერ ბაირალებით და ყვავილების ხვეულებით იყო მორთული. ყველაფერი ბრწყინავდა და ლაპლაპებდა ელექტრონის ძლიერ სინათლეზე. ჰაერში მარდათ დასრიალებდნ ჰაერფირფიტები და მათი ბრწყვილა სანათურები ცეცხლის ხაზებით სერავდნ სიბნელეს. ყველგან მხიარული ლაპარაკი და ტკბილი ლილინი მოისმოდა. ყველა ხვალისდელი დღის მოლოდინით ცხოვრობდა და მომავალი დღესასწაულის სილიადეს დროებით სრულიად მოესპო და დაეფარა ყოველდღიური პროზის ავკარგი.

საერთო მხიარულ ხმაურობას რაღაც ჰარმონია და მწყობრი თანხმობა ემჩნეოდა. არ მოისმოდა ცალკე ამოძახილი მაღალი ხმა და, თუ იმატებდა ხოლმე ხმაურობა, როგორღაც ერთიანათ, თანასწორათ იმატებდა და შემდეგ ისევ თავის დონეზე დავიდოდა. გამეღელს ძალიან მახვილი სმენა უნდა ჰქონოდა, რომ ცალკე ფრაზები გაერჩია, ისე იყო გადახლართული ერთმანეთში ყველას ლაპარაკი. სიტყვებს კი გაიგონებდით. ყველაზე ხშირათ ხვალისდელი დღესასწაულის მიზეზის ანუ, უკეთ რომ ვსთქათ, მიზეზების სახელებს მოჰკრავდით ყურს: „მებრძოლთა მოედანი“... „წმინდა კონსტანტინე“... „კათოლიკოსი“... „მებრძოლთა ძეგლი...“ აი სიტყვები, რომელსაც ძალიან ხშირთ იმეორებდნ ხოლმე. ყველა ქუჩები ამოძრავებული იყო, მაგრამ სამეფო ქუჩა და თეატრის მოედანი ხალხის ნამდვილ ზღვას წარმოადგენდა. ელექტრონის ეტლები ძლივს ატანდა მოსეირნეთა ჯგუფებში და საყვირების წამდაუწყუმი ბლავილი ბანს აძლევდა ხალხის ხმაურობას.

უცებ, ქუჩის დასალიერს, მოედანთან, ხმაურობამ იმატა, გაიზარდა და ტალღასავით გადაეცა მთელს ქუჩას. ხალხი უფრო ამოძრავდა, ყველანი მოედანისკენ მიბრუნდნ და სიჩქარით და ჯახა-ჯუხით

გაემართენ იქითკენ, სადაც ხმაურობის ტალღა გაჩნდა. ახლა იქ სიჩუმე იყო. ეტყობოდა ხალხი რაღაცას უცდიდა. მოედანის შვა ადგილას, ძლიერათ განათებულ მუხათა ძეგლზე უძრავათ იდგა ვიღაც ახალგაზდა კაცი: ცალი ხელი ერთი ქანდაკის მხარზე ჩამოედო, მეორე კი ხალხისაკენ ჰქონდა გაშვერილი.

— დაიწყე! დაიძახა ვიღაცამ.

— დაიწყე, დაიწყე! ნუ გვალოდინებ! გამოეხმაურა ხალხი და კიდევ უფრო მჭიდროთ შემოერთა ძეგლს.

— ძმებო და ამხანაგებო! დაიწყო ორატორმა მაღალის მყვირალა ხმით: ჩუ, სმენა იყოს და გაგონება! ჩემი სიტყვა და თქვენი გონება, და თუ ვისმეს არ მოგეწონება, სჩანს რომ მცირე გაქვს თავში ქონება!

ხალხში ხარხარი გაისმა. მოეწონათ გაღექსილი დაწყება და მოლაპარაკე ტაშით დააჯილდოვეს. ის კი ისევ უძრავათ იდგა ქანდაკზე დაყრდნობილი და მეორე ხელით ხალხს ამშვიდებდა, დაჩუმდით, მინდა განვაგრძო. ხალხი დაწყნარდა....

მკითხველმა, იმედია, საესებით წარმოიდგინა საერთო მხიარულების სურათი. რა კი ასეა, შეგვიძლია თავი დავანებოთ თეატრის მოედანზე თავმოყრილ ხალხს, რადგანაც უცნობი ორატორი ჯერ კიდევ დიდ ხანს ილაპარაკებს და არა ერთსა და ორს ლექსს გაისვრის ხალხის გულის მოსაგებათ.

სწორედ იმ დროს, როცა მოედანზე შეგროვილთ მოშაირე ორატორი ართობდა თავისი ყბედობით, თფილისის საუკეთესო სასტუმროს „ივერთა კერას“, ბრწყინვალე ელექტრეტლი \*) მიადგა. ეტლიდან გამოვიდა მაღალი ტანის ახალგაზრდა შავგრემანი კაცი და ჩქარი ნაბიჯით შევიდა სასტუმროში.

— გამიძედ ოთახისაკენ! უბრძანა სტუმარმა მეკარეს და საგზაო ჩანთა გაუწოდა.

— ოთახი არ გახლავთ, ბატონო!

— როგორ?

— სუყველა ოთახები დაკავებული გახლავთ. ვეკვობ, რომ სასტუმროში სადმე ადგილი იშოვნოთ.

— მაშ ქუჩაში ხომ ვერ გავათევ? აი, ძმობილო, რას გეტყვი: მე ჩემს თავს რასმე მოუხერხებ ეგ არაფერია. შენ კი შემდეგი სამსახური გამიწიე: გამითვიენე ღამე ჩემს მეეტლეს და ეტლიც სადმე შეაფარე ხვალამდე. გაიგე? გ სამრჯელოს ფიქრნიუ გექნება.

\*) ე. ი. ელექტრონის ავტომობილი.

სტუმარმა ამოიღო ჯიბიდან ოქროს თუმნიანი და ჩაუღო ხელში მეკარეს.

— ბატონი ბრძანდებით. გმადლობთ. ვეცდები მოვახერხო რამე.

— მაშ, დაუძახე მეეტლეს და შენ იცი!

მეკარე გავიდა. სტუმარი უძრავათ იდგა ერთ ალაგას და ეტუბოდა, რაღაცაზე ძალიან გულმოდგინეთ ფიქრობდა: წერილი ტუჩები მოეკუმა, წარბები შეეყარა და თვალის დაუხამხამებლათ მისჩერებოდა ერთს წერტილს.

— მიბრძანებთ რასმე, თქვენო ბრწყინვალეებავ? მოკრძალებით შეეკითხა შემოსული მეეტლე.

— ჰა? რა სთქვი? ჰო! შენა ხარ გიორგი? აი, რას გეტყვი, ჩემო კარგო! შენმა ბატონმა დღეს ცის ქვეშ უნდა დაიღოს ბინა...

— რას ბრძანებთ, ბატონო, როგორ შეიძლება...

— მოიცა, გააწყვეტინა თავადმა: ყური დამიგდე! მე, ალბათ, ხვალ საღამომდის არ დამჭირდება. ფული საკმაო გაქვს?

— დიახ, ბატონო!

— ეტლს ეს კაცი დაგიბინავებს და შენც მოგიხერხებს ლოგინს. არა, ძმობილო?— მიუბრუნდა თავადი მეკარეს. — გაქირვებულ დროს, ეტლშიაც შეგიძლია ერთის დამის გათევა. ახლა მშვიდობით!

სტუმარი კვლავინდებურის აჩქარებით გავიდა. მივიდა თავის ეტლთან და გაჩერდა.

— ბატონო! მოესმა უკანიდან მეეტლის ხმა. — სად წაბრძანდებით ამაღამ?

— ბინას ვიშოვი, არა უშავს. შენ შენი საქმე იცოდე! ხვალ დილით, გათენებისას მებრძოლთა მოედანზე გაჩნდი, გესმის? ყველაფერი რიგზე იყოს! ეცადე, შეუმჩნევლათ გამოხვიდე სასტუმროდან. დამე ეტლში გაათიე. კარგათ დაათვალიერე ცალფირფიტა \*): იქნება დილიდანვე დამჭირდეს

— ბატონი ბრძანდებით! ფიქრი ნუ გექნებათ.

— ნახვამდის!

— მშვიდობით ბრძანდებოდეთ!

ახალგაზდა უცნობი თავადი გზას გაუდგა. ახლობელ კოშკზე საათმა თერმეტი დარეკა, მაგრამ ქუჩებში ისეთი მოძრაობა იყო, თითქოს 7 საათზე გვიანი არ ყოფილიყოს. ყველას ენანებოდა შინ წასვლა, სადღესასწაულო სულით გაქვდნით ქუ-

\*) ცალფირფიტა—მონოლანი; წყვილფირფიტა—ბიპლანი. როგორც მკითხველს მოეხსენება, ამ ტერმინების შემუშავებამ დიდ აურზაური და აზრთა ჯახი გამოიწვია ჩვენს სპეციალურ ლიტერატურაში. ამ ჯამათ სამი ტერმინი იხმარება: ცალდაფანა, ცალფირფიტა და ცალ-ფირფიტა. მე უკანასკნელს ვარჩევ.

ჩების დატოვება. ჩვენი უცნობიც ხალხს შეერია და უმიზნოთ გაუდგა გზას. თითქმის ვერაფერს ამჩნევდა გარშემო. მთელი არსება ფიქრს წაიღო.

თავუნა.

(შემდეგი იქნება)

### წერილი ეშმაკისადმი

ბაქო.

ძმაო ჩემო ეშმაკო,  
აბა რისთვის შეგაქო?  
დაგვივიწყე, ერთიც კი  
არ ნახე ჩვენი ბაქო.  
თუ მას გვისაყვედურებ,  
გასართობი არ გაქო,  
ცდები ჩემო ძამიავ,  
ჩემო კარგო ეშმაკო,  
ვინაიდან ქართველებს  
ჩვეულებათ ის გვაქო,  
რომ თან გვექონდეს, ჯიბეში,  
კამათლები ან ბანქო.  
აბა ჩემო, ეშმაკო,  
მოდო, ხათრი თუ გაქო!  
სიხარულით შეგხვდებით,  
მათრახი თუ მოგაქო?.


ქაჯი.

### კლბოქმუი

(ბაირონისა. ლერ ონტოვიდან).

ვით სასაფლაოს განმარტოებულს მგზავრი ვერ სტაცებს თვის ყურადღებას, ისე ეს მკრთალი ქალაქის გვერდი შეხვდეს საყვარელს შენს აზროვნებას და თუ პოეტი ვით ოცნებობდა წელთა სვლის შემდეგ წაიკითხო ის, და გაიხსენო თუ ვით გეტრფოდა თავს გველებოდა იგი მარადის, მაშინ იცოდე რომ ის მკვდარია და მისი გულის აქ სამარა.

რ ლეჩხუმელი.



№ 1582  
1911

**გასათავებელი თავი.**

ქუთაისის თოვლიანი ქუჩის ერთი მხრიდან, მეორე მხარეზე მიმავალი მოგროვო წვერიანი კაცის თავი გამოჩნდა.

— ვინ არის ეგ მოხუცი თავი? ცნობის მოყვარეობით შეეკითხა უცნობი მეთევზე იქვე მდგომ ცნობილ შანტაეისტს.

— შენც ველარ იცანი? ახირებულა სწორეთ!

— ვითომ რატომო!

— იმიტომ, რომ შენ მეთევზე ხარ და ის კი კალისტრატეს გასათავებელი \*) თავია.

**„ჩვენი მოგონილია!“**

ქუთათური შანტაეისტები, ფულის მიღების შემდეგ შექვიფიანდენ და ჩვეულებისამებრ დასძახეს: „ოდელიას ვინ არ იტყვის, ჩვენი მოგონილია!“

შემთხვევით დამსწრე კინტომ დიდ ხანს უყურა ამ გაუთავებელ სიმღერას და ბოლოს უთხრა:

— მამაცხონებულო, ისე იძახი, თითქო ჰაეროპლანი \*\* მოგვეგონებოდეს!

\*) გასათავებელი ნიშნავს „თავად“ ასარჩევს, რადგან კალისტრატე ენერგიულათ ეძებს ქუთაის თავის კარიელ ადგილს.

\*\*) ქუთათური შანტაეისტები ჰაეროპლანსაც კარგათ იგონებენ. აი ამ დღეებში მათი მოგონილი „ჰაეროპლანი“ ვაფრინდა ცნობილი ექიმი დოსტოქარო როდზევიჩი. ეშმაკი.

**სცენა „მალენკისტების“ ცხოვრებიდან.**



**ინტელიგენტიანი გასართობი სამბრეიანი.**

რედაქტორ გამომცემელი ბაიოზ ჯაჭვავაძე.

ვლადიმეროვიჩი სტამბა ვს. კრესნოდისა გოდოვიჩის პრესბ. № 43.